N 263 09/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ელისო ჭიჭინაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგესალმებით!

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრი უფლებამოსილებას ვანხორციელებ საკრებულოს „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში“- დავესწარი კომისიის 4 სხდომას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში დავესწარი 4 კომისიის სხდომას, ასევე ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“-ს წევრი, დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს როგორც რიგით, ასევე რიგგარეშე 17 სხდომაში.

როგორც ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად მაქვს შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, განვიხილავთ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს.

„მედიკამენტების შეძენის დახმარების პროგრამით“ ისარგებლა 31-მა ბენეფიციარმა.

„მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით“, ისარგებლა შვიდმა ბენეფიციარმა;

„ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამით“ ისარგებლა 13-მა ბენეფიციარმა;

„სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით“ ისარგებლა 11 ბენეფიციარმა.

ინფრასტრუქტურული პროექტებიდან განხორციელდა:

სოფელ ლესაში მოეწყო წყალმომარაგების ქსელი;

2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 ოჯახს 2018 წელში გადაეცა სახლის სახურავის მასალა.

მარტის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 3 ოჯახს გადაეცა სახლის სახურავი;

30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გადაეცა სახლის სახურავი;

სოფელ ლესაში „კორეას“ უბანში აღდგა რკ/ბეტონის მილხიდი;

ომარ ბერიძის სახლთან მოეწყო გაბიონი;

დავით სულაბერიძის სახლთან მოეწყო გაბიონი;

ჭინათში და ზემო ჭინათში მოეწყო ნაპირსამაგრი და აღდგა გზა;

ნაზიბროლა ჯიბლაძის ეზოსთან აღდგა მისასვლელი გზა;

მერაბ სულაბერიძის უბანში მოეწყო ბეტონის საფარი;

„ფოცხვერეთის“ უბანში მოეწყო ალტერნატიული მისასვლელი გზა;

მერაბ სულაბერიძის უბანში მოეწყო სანიაღვრე არხები;

სოფელ ლესაში „პლათფორმის“ უბანში გაუვალ ადგილებში მოიხრეშა გზის სავალი ნაწილი და მოეწყო ღია სანიაღვრე არხი.

ლესის ცენტრში მოხდა ძველი მილხიდის დემონტაჟი და მოწყო ახალი.

2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ყოფილი კულტურის ცენტრში რეაბილიტაცია უტარდება საკონცერტო დარბაზს.

სოფელ ლესაში დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემის და საექიმო უბნის რეაბილიტაცია. ასევე აუცილებელია ზემო ჭინათის გზების მოწესრიგება.

დასასრულს, მე როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან.

პატივისცემით,

ელისო ჭიჭინაძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები